

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2017 წლის 2 აგვისტო

ქ. ცაგერი

„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016181) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი ანგარიშვალდებულია აპარატის უფროსისა და აპარატის უფროსის მოადგილის წინაშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბაქარ ყურაშვილი

